




### გამოუვალი მღგომარეობა

— დამავალეს, მოსხენება გააკეთე მიღწევეზო... გავაკეთე და... აი რას მივალწი





საწარმოო გეგმის გა-ტა-რე-ბა ზოგნიერთ დაფიზულიებაში

# „წინდახედული“

მოახლოვდა ხუთწლედის მესამე წელი. დაიწყო ბრძოლა სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის.

ასტყდა განგაში: „ხუთწლედისათვის ბრძოლა სოციალიზმისათვის ბრძოლა!

დაიწყო პარტუჯრედებზე სავაგშირო კომუნისტური პარტიის მომართვის დამუშავება.

იწყება მასების მობილიზაცია სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებაში გადამწყვეტ გარდატეხის მოსახდენათ.

— ჭადრაკულათ არის ჩემი საქმე—ამბობს ვასიკო ბედაურიძე და გამოსავალს ეძებს.

**მან იცის:** წარმოება, რომელსაც ის განაგებს ძალზე ჩამორჩა.

**იცის:** მოხსენებას მოსთხოვენ მას ხუთწლედის მეორე წლის შესრულების დროს მისი მიღწევების შესახებ.

**იცის:—** თუ დღემდის ახერხებდა წამხდარ საქმიდან თავის დაძვრენას, დღეს ამის მოხერხება მისთვის ძნელი იქნება.

— კოკა ხომ ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს?!“, — ამბობს ის თავისთვის.

დღეს მას არ დაინდობენ. მოსდგებიან და დაუწყებენ „ჯიჯგანას“. რას არ დასწამებენ მას: ბიუროკრატიზმს, დაუდევრობას, უპასუხისმგებლობას და სხვა ასეთებს.

შემდეგ კი... მშვიდობით!.. უნდა წამოეთხოვოს იმ უწყებას, რომელსაც ის ტკბილად ხრავდა დღემდის.

მაგარამ!... არა უშავს!.. ვასიკო უარეს მდგომარეობაში ყოფილა..

მან გამოსავალი ნახა: — ორი თვით საეკიმოთ წავა. ის ხომ „მძიმე“ ავადმყოფია: გულის სიფართოვე, „ნევრასტიკა“, და ამ უკანასკნელ დროს „შაქრის“ ავადმყოფობაც კი „აღმოაჩინა“.

გებ ვინმეს ექვი შეგდით? ინებეთ და შეეკეთებთ

მას. უსათუოდ დაგაჯერებთ, რომ ის რევოლუციის მსხვერპლია.

რა არ გამოუცდია მას: „მის თავზე წისქვილის ქვა არ დაბრუნებულა, თორემ სხვა არაფერი დაკლებია!“, — დევნა, გადასახლება, შიმშილი, — ყველაფერი გამოსცადა. ამიტომ მას სრული უფლება აქვს იექიმოს.

ორ თვეს მას პასუხს ვერაფერ მოსთხოვს..

ორი თვის შემდეგ კი თვითონ მოსთხოვს პასუხს სხვებს: განა, ის არ ამბობდა, რომ მისთვის თანამემწეთ არ მიეცათ დაწინაურებული მუშა, რომელსაც საქმის არაფერი გაეგება?.. განა „უმჯობესი არ იყო მისთვის დეტოვებით საქმის „სპეცია“ ყარამან შეგულოძე — ყოფილი თავადი, მემამულე, პოლიციაში ნამსახური, ერთი სიტყვით „გულით და სულით“ მონარქისტი?!

ესლა თვითონ აგონ პასუხი!..

ვასიკო კისლოვოდსკში ატარებს დროებას: იღებს ნარჩანის აბაზანებს, ყოველდღე თავს იწონის, ქალებშიც ერთობა.

მან ყველაფერი დაივიწყა (ასე ურჩიეს ექიმებმა) გაზეთებსაც არ კითხულობს..

დღეს კი რა ეშმაკათ „შეაჩერეს“ მას გაზეთი „კომუნისტი“!

თავის თვლით ნახა და წაიკითხა:

— ...გეგმის დაუდევრობამ შეაფერხა გეგმის შესრულება, რის გამო წარმოება ჩამორჩა. პასუხისგებაშია მიცემული ყოფილი გამგე ვასიკო ბედაურიძე და მის მაგიერ დანიშნულია დაწინაურებული მუშა თედო გრდემლიშვილი.

თედო! Безобразии!!! კაცს საეკიმოთ აგზავნიან და სამუშაოდან ხსნიან! ასეთ პარტიაში მე არ მოვიცილი! — ბრახმორეულად წამოიძახა ვასიკო ბედაურიძემ და ისე მაგარად ჩაბლოჯა ხელში გაზეთის ფურცელი, თითქოს ყველაფერი უკანასკნელის ბრალი ყოფილიყო.


სუშაბარა.



# შეხვედრა

## აჯობა

მეწე პირები ხმებს ავრცელებენ, თითქოს ზოგიერთ პროფკავშირებსა და საწარმოო ორგანიზაციებს შორის არ არსებობს ცოცხალი კავშირი, რაც საზიზღარია ქვეყნის და ცილისწამებაა. აი საბუთი.



იმ დღეს დირექტორი ადრე მოვიდა ქარხანაში. იქნებოდა საათის 11. (საერთოდ 12-ზე ადრე არ დადის).

— ასე ადრე რამ მოგიყვანა, თუმცა მეც ფეხად მოგასწარი, — უთხრა თანაშემწემ.

— რაც ეს ერთპიროვნული მართველობა შემოიღეს, მე მოსვენება აღარ მაქვს. ყველაფერი მე უნდა ვაკეთო, წარმოებაზე მე უნდა ვაგოს პასუხი და შრომის დისციპლინაზეც, ისევე გადავწყვიტე, ადრე ვიარო ქარხანაში, — გაჯავრებით სოქვე დირექტორმა და გაზეთის კითხვას შეუდგა.

— რა ექნათ, ამ ხუთწლიანი მესამე წლის საფინანსო-სამრეწველო გეგმა აღარ შევადგინოთ? მუშები არ გვაყენებენ, გეგმა გინდაო.

— რად გინდათ, კაცო ეს გეგმა, — გაჯავრდა დირექტორი, — იმუშაოს ამ ქარხანამ და ვნახოთ რა იქნება ბოლოს. წინასწარ გეგმები ვადგინო, რა ვიცი მე რა პროდუქცია გეგმაქვს, ილია წინასწარმეტყველი ხომ არა ვარ!

— როგორც გინდათ, მაგრამ ბოლოს არ გვისაყვებდნენ...

დირექტორი დაფიქრდა. ჩაუკვირდა საქმეს. „ორჯერ უკვე მივიღე შენიშვნა და ესლა ჯობს გეგმა მართლაც შევადგინო, — გაიფიქრა მან.

კაბინეტი ჩაიკეტეს, ბუხპალტერს დაუძახეს და შეუდგენ გეგმის შედგენას.

— ამხანაგო დირექტორო, მუშები მოვიდნენ მოსალაპარაკებლად, — შემოვიდა შიკრიკი.

— გვაცალონ ცოტა, გეგმას ვადგენთ, რაღა ახლა მოგვადგენ, — გაჯავრდა დირექტორი.

სადამის უკვე მზად იყო გეგმა, ხოლო დილით ტრესტმა მიიღო იგი, შელამაზებული ციფრებით და დიაგრამებით.

— მუშებმა მიიღეს მონაწილეობა ამის შედგენაში? საწარმოო თათბირმა განიხილა? — კითხეს ტრესტში დირექტორს.

— არა... დაიბნა დირექტორი, — მუშებს რატ უნდაო.

— როგორ შეიძლება, ახლავე წაიღეთ და მუშებს შეუთანხმეთ.

— საწარმოო თათბირი და დამკვერელი მუშები სიცილით იხილებოდნენ, როცა დირექტორის კაბინეტში შედგენილ გეგმას გაეცნენ.

— რაო, წლიური გამოქმულებება რვაასი ათასი მანეთის? — რატომ რვაასის და არა მილიონის!

— შრომის დისციპლინა 90 პრო-



მარაჰსია სიპიტოს ასული მარაჰსიაფხილი.

(ცოცხალი კავშირი პროფკავშირებსა და საწარმოო ორგანიზაციებს შორის).

ცენტით განმტკიცდეს? — რა დავა-ვლება ასევე პროცენტით რომ განვმტკიცოთ!

— წუნი მესამედიო? რატომ მესამედი და არა მეასედი, ან რა იქნება სულ მოვსპოთ ეს წუნი? გაცდენები 3 პროცენტამდე დავიყვანოთ? — აჰ, წუ ვეწყინებთ და გაცდენა საერთოდ უნდა მოვსპოთ!

ასეთი ხმები ისმოდა საწარმოო თათბირზე.

— მოდიო ჩვენი შემხვედრი გეგმა წავიკითხოთ, იქნება ის ჯობია, — შემოიტანა ერთმა წინადადება. გამოიტანეს გეგმა, მუშების შედგენილი. შიგ სწერია:

„ხუთწლიანი მე-3 წელში ჩვენი ქარხნის პროდუქციის ღირებულება უნდა უღრიდეს 1.200 მანეთს, შრო-

მის დისციპლინა სავსებით განმტკიცდეს, გაცდენები აღმოიფხვრას, წუნი მოსპოს, დაიდგას ახალი დახვეტი და გადამჭრელი გარდატეხა მოხდეს მუშათა მომარაგებაში“.


— „ვაი, რა განსხვავებაა ჩვენს გეგმასთან!“ — ამოიხიზრა დირექტორის თანაშემწემ.

— „არ შეგვკამოს ქირმა ეგ არ განხორციელდეს, მაქ ობიექტიური მიზეზები სულ არ არის მხედველობაში“, — დაუმატა დირექტორმა და თავი დახარა.

— „ვაი რა კაბინეტში ვიყავი შედგენილი და როგორ გამაბიზრეს“, — მწარედ გაიფიქრა კაბინეტის გეგმა, შემხვედრს გზა დაუთმო და დირექტორთან ერთად გასწია ქარხნიდან.

ტერსიტი.





ვანომ მიზანი სოცშეჯობრების  
ხელად გაიგო და იგრძნო ცხადთ,  
და სხვებთან ერთად, მან როგორც მუშამ,  
თავი დამკვრელად გამოაცხადა,  
და სიტყვა საქმედ აქცია ხელად  
არ დააყოვნა არც ერთი წუთი,  
და პირველ დღესვე ნორმაზე წევით  
მან ჩამოასხა ჭახრაკი ხუთი.

—ხუთი ჭახრაკი რა ბედენაა?  
ჩვენ თავს ვიტყუებთ უმიზნოთ, ყალბად —  
თორემ კომუნას ვინ შექმნის ამით? —  
ზოგიერთები იტყვიან ალბად.

მაგრამ მილიონ მასების რიცხვზე  
თუ გამრავლდება ის რიცხვი ხუთი,  
მაშინ ორჭოფთ და მერყევებს ყველას  
დაეკარგება რყევის „საბუთი“.

ან უჭახრაკოთ რას გააკეთებ?  
ვსთქვათ, სადმე სოფლად დადგა ტრაქტორი  
რადგან ჭახრაკი დააკლდა დიზელს, —  
ხომ მოუხნავი დარჩა მინდორი?

ხუთი ჭახრაკი ამ შემთხვევაში  
ხუთი მანქანის მაჯის ცემაა,  
ხუთი ჭახრაკი, ნორმაზე მეტი,  
სოციალისტურ წრდის ემბლემაა.

დიდება ვანოს დამკვრელს შეგნებულს!  
მიღწევისათვის ეკუთვნის ქება;  
მაგრამ ვანოსგან დარგული ნერგი  
მოლაყბების ხელით ფუჭდება. —

მზად გვაქვს ჭახრაკი! მაგრამ ამბავი  
ცი არ თავდება, ამით იწყება:

დასტა წიგნებში მას გაცილებს  
მოლაყბების ურიცხვი წყება.

ჯერ ჩოქზე ნახავს მოანგარიშე  
რომ ხუთჯერ ერთი იქნება ხუთი,  
შემდეგ დავთარში გასათარებლად  
გამოიღება მაგიდის ყუთი.

ხელს კიდებს კალამს და მელანს აწებს  
რომ გააკეთოს მიღწევის ჯამი,  
დამკვრელი არის მოანგარიშეც, —  
არ ენანება საქმისთვის ჯანი;

მას ახსენდება რომ ყოველ ნაგლეჯს  
საფუძვლიანად აღრიცხვა უნდა.  
(გამოძიება, დასაბუთება  
შეტან - გაწერა განწესით მუდამ).

შალა დავთრები ათასნიშნიან  
რიცხვთა ააგო მის თავში სვეტი  
და ხუთ ჭახრაკის აღრიცხვას იმან  
დღე მოანდომა „რაღაც“ თორმეტი.

„სვერსტრონი“ კიდეც სხვა იყო,  
ასე მოიქცა „სპეცი“ ძვირფასი,  
და მით უფასოთ ჩამოსხმულ ჭახრაკს  
ხუთჯერ გაზრდილი დაედვა ფასი.

რომ საჭიროა აღრიცხვა შრომის,  
ეს მკითხველებმაც იციან კარგად,  
მაგრამ ზომაზე! და არა მისთვის  
უზღვავ ქალაღდის და დროს დაკარგვა!

ვინც მავნებლურად ციფრს ახუხულებს, —  
მის „დამკვრელობას“ ვერ ვეტყვი ქებას!  
ჭახრაკებს უნდა კეთება, ძმაო, —  
ზიზლი ციფრების „გაჭახრაკებას“!

მელუა

## გასეი რნება ტფილისში

ვიცი, რომ კონდუქტორს თუ  
ხდ ჰქონდეს ხურდა, მანეთაანს  
ინც არ გადისურდავებს და ძირს  
მოგსვამს.

ჩემთვის კიდეც უკეთესი.  
მოვახტი ვაგონს და წავედი სასეი-  
ნოდ.

(დიდი ხანია არ გამისერინებია).  
გავიარე ორი „გაჩერება“.

— ბილეთი!

— ვაძლევ მანეთიანს.

— ხურდა მომეცით.

— არა მაქვს! — და კონდუქტორი  
ხრს აძლევს.

— ჩამორბდანიდით!

ჩამოვდივარ.

ვჯდები შემდეგ ვაგონში.

იმაშიაც ისეთივე ამბავი.

ვჯდები მესამეში.

იმაშიაც ისეთი ამბავი.

ამნაირად სადგურიდან ოპერის  
ატრამდე უფასოდ მოვბრძანდი.

(ჰა, სხვები თუ კი ასე იქცევა, მე რა  
ჭრელი გოჭი ვარ?... უკაცრავად, აქ  
სასაცილო არაფერია, დღეს ღორს  
(და, მაშასადამე გოქსაც) პატივი და  
მორიდება აქვს).

სადგურიდან რუსთაველის პროს-  
პექტზე გამოსვლის მიზანი იყო —  
მენახა კინო ეთერში „კავკასიელი  
ტყვე“... უკაცრავად არა კავკასიე-  
ლი, არამედ:

„კავკაზიის ტყვე“.

სახკინმრეწვი ყოველთვის ქებული  
იყო თარგმნაში და დღესაც ასეთა-  
ვეა, წინ თუ არ წასულა, ყოველ  
შემთხვევაში, უკან არ დაუხვეია. პი-  
რდაპირ საოცარია — სად შოულობს  
და რომელ შრომის ბირჟაზე ქართუ-  
ლი ენის ასეთ და ამდენ კარგ მცო-  
ღნეებს?!

როცა კინოდან გამოვედი, ცხვა-  
რი კინალამ მივახალე (სხვათა შო-  
რის ცხვირი მოზრდილი მაქვს) ოპე-  
რის საგანცხადებო ბოძს.

რაკი უკატასტრაფოდ გადაიჩა ჩე-  
მი ცხვირა, წაივიტოზე მოსკოვის  
მუშათა თეატრის რეპერტუარი:

### წრუწუტანას გარედ

(по ту сторону щели).

თურმე ოპერის თეატრს ქართული  
ენის უკეთესი მცოდნენი ჰყოლია,  
ვიღრე სახკინმრეწვის.

ბევრი ვეძიე სხვადასხვა ქართულ  
ლექსაკონებში ეს სიტყვა, მაგრამ  
ვერსად ვნახე.

დალოცვილ მთარგმნელს არც ქა-  
რთული სცოდნია და არც რუსული,  
თორემ ასე თარგმნიდა: „ჭრუჭუტა-  
ნას იქით“.

ნეტავი, როდის გაიხედავს მთავ-  
ლიტი „ჭრუჭუტანას იქით“ და გა-  
ანთავისუფლებს ქართულ ენას ასეთი  
მთარგმნელისაგან? ალბად იქაც ასე-  
თი კარგი მცოდნეებია, თორემ რა-  
ტომ ყურადღებას არ აქცივენ ასეთ  
მოვლენებს?

ზმუკი.





# გ ზ რ ი ნ ა შ ი

— კოკი, სად მუშაობ ახლა?  
— ახლა? ტყავის ქარხანაში, ხუთ-მეტრი თუმანი მაქვს, მაგრამ უნდა გადავიდე, აბრეშუმის ტრესტში მეხვე-წებიან, ხომ იცი კვალიფიციური კაცი ვარ.

მეორე დღეს:  
— კოკი, გადადიხარ ტრესტში?  
— გადავედი კიდეც, 16 თუმანი დამინიშნეს, მაგრამ იქნებ იქედანაც წავიდე, ბალ-ბოსტან-კავშირი მთხოვს, 17 თუმანი იქნებაო.

ორი კვირის შემდეგ:  
— კოკი, ისევ ტრესტში ხარ?  
— არა, კაცო, ხომ არ გაგიყვდი, ბალ-ბოსტანში გადავედი, იქ ერთი კვირა ვიმუშავე და მერე რკინის გზის სახელოსნოებში მიმიღეს 18 თუმანიზე. სამი დღის შემდეგ თამბაქოს ქარხანაში გადავედი, ოცი თუმანია ჯამაგარი. ამას აღარ მოვშორდები.. თუთუნიც უფასოა.

ექვსი თვის შემდეგ, როცა კოკის ამხანაგი პროვინციიდან ჩამოვიდა:

— კოკი, შერჩი ხომ თამბაქოს ქარხანას? ისევ იქ მუშაობ არა?

— ე, ჩემო ძმაო, შენ ყურზე გძინავს. თამბაქოს ქარხნიდან მე მიმიწვიეს აბრეშუმში, 21 თუმანთ. იქიდან გადავედი მწვანო-ტრესტში 23 თუმანთ, აღარც ეს ვისურვე და საფეიქრო სინდიკატში ამოვყავი თავი, ხოლო რადგანაც იქაური ბუხალტერი არ მომეწონა სახეზე, გადავბარე ზაკლოდოვოში. იქაც მაწყენიეს, მივატოვე და ფესაცმელების მაღაზიაში მოვეწყვე, ერთი ხუთი წყვილი ტუფლი ძლივს ვიშოვე და გადავედი ყველ-კარა-კავშირში მოვიმარავე ერბო-კარაქი და მიმიწვიეს ქიმ-კომბინატში, როგორც სპეცი. იქიდან დავკარი ფეხი და გადავედი ოხრახუმ-კავშირში... თუ

ძმა ხარ, რათ მინდა ოხრახუმი? ცოტა ავანსი მივიღე, დავინსურე ქუდი და ხე-ტყის სახეობ ქარხანაში მოვეწყვე, ბინისთვის სააღმშენებლო მასალა მინდოდა.

— მერე?  
— მერე და შევაკეთე ბინა, ხოლო შემდეგ გადავედი მუშკოპის გამანაწილებელ განყოფილებაში ცოტა რამეები გამოვიანაწილე ჩემთვის და პირდაპირ „მეკრავში“ შევედი (ერთ დროს თერძიც ვიყავი)...

— მერე?  
— მერე და შევემოსე ცოლ-შვილი და ნათესავებიც. ავედექი და გადავედი ავეჯის ქარხანაში, გამოვიტანე (ნისიად რასაკვირველია) ბუფეტი, შკაფი უზანდარი, მაგიდა და ჰაილა! გავესწიე მუშტრესტისკენ, სავანებო დავალებათა აღმასრულებლად. ვიშა ხურე იქაც სამი კვირა, გამოვიტანე ბეკერის როიალი და...

— მერე, მერე?  
— არაფერი, დავდი სახლში.  
— აბა გაბედნიერებულხარ! შენი სიმდიდრე კაცი ვინლა!  
— ჰო, რა მიჭირს, ვცხოვრობ გვა-რიანად.

კვლავ ერთი კვირის შემდეგ:  
— კოკი, თუ ძმა ხარ, ერთი პატარა პიანინო გამომატანიე, მუშტრესტის მუშაკი ხარ!

— დამცინი თუ მართლა მეუბნები? — ოხრავეს კოკი.  
— როგორ?  
— როგორ და მუშტრესტიდან ნიშადური-სტროიში გადავედი სამას მანეთიან ადგილზე... გამიწყრა ღმერთი და გადავედი.. რა მინდოდა ნიშადური-სტროიში?

— ამოგტყეს, კაცო ნიშადური თუ როგორ ლაპარაკობ?

— ამომტყეს და მეტი არა? გადავედი მაგ დაწყევლილებთან და მაგათი გამგე ჩემი ყოფ. გამგე არ აღმოჩნდა! ოხრახუმ-კავშირში მუშაობდა... მიწრო და გამოიკითხა ყველაფერი. შეიქნა ერთი მიწერ-მოწერა, ტელეფონების წკრალი და დაკითხვები.. ახლა მთელი ქალაქის დაწყებულელების იურისკონსულტები — კარზე მომაღკენ და სასამართლოში მიჩივიან... წაიღონ, ბატონო, რაც წამომილია, ვინაა ხმის გამკეში თუ კი არ დამიჭერენ...

კიდეც ერთი კვირის შემდეგ:  
— „ძმაო გიტო! — იწერება კოკი, მე უკვე გამსახლში ვარ, არ გიკვირს? დამიმტყიდა ბოროტი მიზნით მფრინავობა და მომისაჯეს.. ბინის მოწყობილობაც წაიღეს, კარაქი და ერბოც უკან დაიბრუნეს... თუ მოახერხო, ვახელინი გამომიგზავნე, იმ ოხერმა ნიშადურმა სულ დამთუთქა“...

აღლარ-აღლარსან.



## სცენა აჭარისტანის სააფთიაქო სამმართველოში

**ნიკიფორე.** დილა მშვიდობისა ბ-ნო არჩილ! რა გლახა უბედურება მოგივიდა! როგორ მოხდა, რომ სააფთიაქო სამმართველოს სახელით 110 მეტრი პარუსინა ვილატეებს გამოუწერია და ჩვენ არ მიგვიღია?!

**არჩილი.** ჩვენი მხრივ ზომები მიღებულია, აფერისტები უნდა იქნენ აღმოჩენილი, მაგრამ ვაი ჩვენი ბრალი, მუშგლებინმა თუ გაგვიგო.

**ნიკიფორე.** ჩვენს აპარატში მომუშავე ხალხი მაგისტანაობაში, ბატონო არჩილ წმინდანები ვართ.

**არჩილი.** მჯერა! ენახთ ვალიკო, — (საეაქრო განყოფილების გამგე), რას იტყვას.

**ბარნაბა.** (აპარატში მომუშავე მუშა-დამლაგებელი), რას ჩივი ნიკიფორე? თქვენ გამოხარით წარსულში სააფთიაქო სამმართველო და ეხლაც ხეირს არ დაყპრით, პროკურორი გამორიკვეს თუ ვინ შეყლაპა ათას ასი მეტრი პარუსინა ლენინგრადის ტრესტიდან გამოწერილი.

**არჩილი.** შენ, ბიძია, რაცბა კონცომოლი ხარ, დიდი ენა გაქ!

**ბარნაბა.** კონცომოლი ვარ, თუ რალაცა, კარგად ვიცი, რა უქენი ზოგიერთ პირებს თვითკრიტიკის გულიზა, ბევრი აწამე, საწარმოო თათბირებზე ლაპარაკის ნებას არავის აძლევდი!

**არჩილი.** მაგისტანა საქმეები მომიჭხრაკებია?! ყველაფერს ვაგზარხავ იმის საშუალებით!.. შენ კი გირჩევ ენა დეიმოკლე, თორემ ხომ იცი..

**ნიკიფორე.** აბა, აბა, დეიმოკლე, შენ კი, ბიძიკო ბარნაბ, თავს გაუფრთხილდი! შენისანებს ამოუსეცი ნიორი?!

**ბარნაბა.** ახლა შეიძლება თქვენ მართლა სხვანაირად ნიორი ამოგისვან და ზედ სკიპიტარიც მოგაყოლონ თუ 1100 მეტრი პარუსინის გადაყლაპვა დაგიმტყიდალ.

ელესკირი.



# „ღაბაღება“ ანუ „ბიბლია“

ნ ა წ ი ლ ი მ ე მ რ ი მ



## თავი მეთერთმეტი

არ არის ნათქვამი  
შიგ რამე ზედმეტი!

იოსების საქმე ცუდად იქნებოდა.  
ფარაონს რომ რამე არ დასწირებოდა!  
ერთხელ მან იხილა ასეთი რამ ძილში:  
შვიდა მძლე ძროხები გამოვიდნენ ნილში;  
მათ უკან გამოჰყვა სხვა მსუქანი შვიდი.  
მეფეს, ამის მნახველს, წაერთვა სიმშვიდე!  
შვიდმა მძლე ძროხებმა მსუქნები რომ შთანთქ-  
მეფე იძახოდა:—„ამ ძროხებმა რა ჰქნეს!“

მძლე ძროხები დარჩენ ისევე ძვალ-ტყავად.  
ამას ზედ დაერთო კიდევ წახათავათ:  
მინდვრათ ამოვიდა შვიდი მძლე თავთავი;  
იქვე შვიდ მსუქნებსაც დაეხარათ თავი.  
მძლეებმა მსუქნები თავთავა ჩაყლაპეს.  
ფარაონს უკვირდა:—„რა ამბავია დღეს!“  
ყოველივე ამას თუმც ის უცქეროდა,  
საკუთარი თვალებსაც აღარ უფეროდა.

თავზარდაცემული დილით როცა აღვა,  
სიზმრის ასახსნელად ყველა ფეხზე დადგა.  
მის კარისკაცს მხოლოდ ახლა მოაგონდა,  
ერთ ტუტსაღთან რომ მას მეგობრობა ჰქონდა.  
სიზმრების ამხსნელი სხვა რომ გველარ ნახეს,  
მეტი რა გზა იყო,—ტუტსაღს დაეძახეს.  
იოსებს ციხიდან სურდა თავის დახსნა.  
იმას რა თქმა უნდა,—მან სიზმარი ახსნა!

შვიდი წლები, თურმე, დადგებოდნენ მსუყი,  
დანარჩენი შვიდი,—უნაყოფო, ფუფი.  
მსუყი წლების ნაყოფს მძლეები შთანთქმევდნენ,  
რაც ამ ქვეყანაში სინამდვილეს ჰგავდა!..

სიტყვა ბღარ მინდა მე რომ გავაგრძელო, —  
იოსებმა ხომ აქაც გავიტანა ღწილი!  
ის თავის ვეზირათ ფარაონმა დასვა;  
გვერდში მოიჯინა, აქამა და ასე!..

\*\*

დიდესაც მოვიდა შიმშილობის წლები,  
იაკობმა გაგზავნა ეგვიპტეს შვილები,  
რომ მათ შეეძინათ თავის სარჩო პური,—  
იქ იზოვებოდა, მოეკრა მას ყური.

როგორ იფიქრებდა, სურსათ-სანოვებებს,  
თუ რომ ეგვიპტეში იოსები განაგებს!

როცა თავის ძმები იოსებმა ნახა,  
გულში გადასწყვიტა ერთი რამ განზრახვა,  
რომლის აწერასაც მე არ შეუძლები:

არც იმდენი არის შოგ საყურადღებო!  
მხოლოდ მე მინდა აქ აღწინაშა ის,  
რომ შედეგი მოჰყვა იმათ შეხვედრას:  
იაკობი თავისი მთელი ჯალაზობით  
ნათესავებით და საქონლს ჯარგებო-  
ქნაწინიდან გადაიბარა,

ქვევს შამას ეხლაც ჩვეულებათ სჭირს,  
რომ მაკითხავს ქილაქში მყოფ შვილს:  
მიუტანს ქათამს და ცივ ხაჭაპურს,  
მაგირს მოსთხოვს მთელ წლის სარჩო პურს!

\*\*

შვითხველს აღედგროს საკითხი ერთი:  
სად დაიკარგა, რომ არ სჩანს ღმერთი?

სურსს უკაცრავად!  
არ გეგონოთ ავათ!  
მე მას თქვენ განახებთ თუ გინდათ ათასჯ-  
იაკობი იხილავს თქვენზე ადრე მას ჯერ,  
რომელსაც შეხედნებ ეგვიპტეს მიმავალს.  
ხიკეთეს პირდება აურაცხამ მრავალს!

გაუმეორა მას ყველა ფიცი,  
რაც მის წინაპრებს ამდენხანს შისცა,—  
და არ გაამართლა,  
არც ნაწილი, არც მთლა.  
- ეხლა მას დაეტყო  
ყურის გამობერტყა!

\*\*

ეგვიპტეში როცა იაკობი ჩავიდა,  
აქ იმისი საქმე სულ წაღმა წავიდა.  
ეს გასაკვირველი სრულიათ არ არის.  
მისი შვილი იყო ხომ მეფის მოლარე!  
სურსათ-სანოვებაც იმსვე ეზარა.  
რამდენიც უნდოდა შეეძლო ეპარა!

ქვეყნათ მძვინვარებდა სასტიკი შიმშილი.  
იაკობს ხელს უწყობდა საყვარელი შვილი  
ეგვიპტელებს ბურში თუ აძრობდა ტყავს,  
ტომარას უვსებდა მუქათათ ნათესავს!

როდესაც სტუმრებმა წელი მოიმაგრეს,  
ბღარ მრერიდნენ მისპინძლების ჩავფრას.  
მათ ბატივისცემა არ დაუმახსოვრეს.  
ხალხი კინალამ სულ მთლათ გაამათხოვრეს!  
განი გავიდა.


\*\*

იაკობი, შვილებით, საფლავს ჩავიდა.  
რადგანაც ტახტზე ფარაონი მტკიცე ხვიდა.  
ებრაელების საქმე ეხლა ცუდად წავიდა.

განკარგულება ფარაონმა ისეთი გასცა,  
რამაც იაკობის მემკვიდრეებს თავზარი დასცა  
თუ რომ იშვებოდა ვაჟი ებრაელის,  
დანით მოელოდა მას გამოჭრა ყელის!

დაიბადებოდა თუ რომ ასული,  
მისი სიცოცხლე იყო დაცული, —  
რადგან ეგვიპტელებს ძლიერ მოსწონდათ,  
მათ შავ თვალ-წარბი, თეთრი ტანი ჰქონდათ!  
ამრიგად გავიდა რამდენიმე წელი;  
ებრაელებს არცინ ყავდათ ხელმძღვანელი.  
ღმერთმა თითქოს კიდევ დაგიწყებას მისცა.  
საჯერ მიცემული წინაპრებზე ფიცი.  
საქმე ასე დიდხანს თუ რომ წავიდოდა,  
იაკობის მოდგმა სულ გადავიდოდა!





საწარმოო გვემის ბრწყინვალედ გატარების ნაყოფი ზოგიერთ დაწესებულებებში (გადაწერგვა აკრძალულია).

\*\*\*

მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ცოტაოდენი ხანი გამოხდა. ერთ ებრაელ ოჯახს ვაჟი შეეძინა. სამი თვე დედ-მამას დარღით არ ეძინათ! მაგრამ დაძალდა რომ ველარ მოახერხეს, მშობლებმა მიმართეს მაშინ ანაირ ხერხს: როდესაც ყმაწვილი იყო ტბილ ძილში, ჩააწვინეს ის გაფისულ ძარში, და გაატანეს იმის უფროს დას, — სადაც ფარაონის ქალიშვილი ნილში ტანს იბანს, იქ რომ დაედგა და შორიდან ედევნა თვალი, თუ რას უწამდა მას მეფის ქალი!

მეფის ასული იყო ქალწული, მაგრამ ყმაწვილი როგორც იხილა, მან გადასწყვიტა, რომ ის ეშვილა! ბავშვისათვის ეშოვა მეფის ასულს ძიდა, ხომ არ არსებობდა, იმ დროს შრომის ბირე ან მისი სექცია! აუცილებელი დარჩა პროტექცია, რომელმაც მოჰგვარა ძიდათ თავის დედა! ხედავთ, საქმე წაღმა როგორ შემობრუნდა? განა ეს მოხდება, თუ რომ ღმერთს არ უნდა? შოდი და მორწმუნე აბა ნუ გახდები, ასეთ „ღვთის სასწაულს“ როდესაც შეხვდები!.

\*\*\*

მეფის ქალიშვილმა გადასწყვიტა ასე: მის ნაშვილებ ყმაწვილს რომ დაარქვას მოსე. რადგანაც ის იყო წყლის პირას ნახული, შეეფერებოდა სწორედ ეს სახელი. ფარაონის კარზე მოსე იზრდებოდა. თქმა არ უნდა, — მოვლა კარგი ექნებოდა! როცა გაიზარდა, მოწიფული გახდა, ბრაველი ხალხის ბელადობა მას ხვდა! მაგრამ, იცით, საქმე დაიწყო მან რით? ერთი იგვიტელის მალულათ მოკვლით! მაგრამ ისე უწნოთ ჩაიდინა ეს, ქვეყანამ იცოდა უკვე იმავე დღეს! რომ მას სასჯელისგან თავი დაეფარა, მადიამის მხარეს ჩუმით გაიპარა. იქ ცოლათ ვილაც მღვდლის ქალიშვილს ურთავს, სიამბრს ცხვარს უმწყესავს და ამით ირჩენს თავს. (გაბრძნალება იქნება)

ს. თ—ია.

ვზივარ (თქვენთვის რა საინტერესოა — თუ საინტერესოა ვკითხულობ გაზეთის მე-4 გვერდს. (თქვენისა და ვიღაცის მე-4 გვერდი მთელ გაზეთს მირჩევენია). გაზეთი შაუნი ღირს და ამ უმნიშვნელო თანხით ფუთნახევარ სიამოვნებას მაინც მიიღებ.

ყოველ დღე ცახდებთ:

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები (დაკარგული და მრ.პარული) ჩაითვალოს გაუქმებულად.

სად არის მილიცია თუ ყოველდღე ასეთი ამბები ხდება? ანდა რა საჭიროა ასეთი დეტალი? პატიოსნად თუ უპატიოსნოდ (მოპარვით) დაიკარგა დოკუმენტი, სულერიოა, ორივე შემთხვევაში დაკარგულია. (ბარემ რედ-ქციებმა ისიც აღნიშნონ (კვალიფიკაცია უყონ), თუ რომელი დოკუმენტია მოპარული და რომელი დაკარგული!.

“ნიანგის ცრემლები“

ძველად რომელიღაც ქუჩაში ასეთი წერილი წავიკითხე:

რედაქტორი: — როგორია ჩვენი ფინანსური მდგომარეობა?

კანტორის გამგე: — პირდაპირ კატასტროფული, თუ ვინმე დიდი კაცი არ მოკვდა!

— მერე ჩვენ რა?!

— სამგლოვიარო განცხადებები გვექნება! მართლაც, გაზეთებს კარგი შემოსავალი აქვთ განცხადებებიდან, (უამისოდ რედაქციებს მიძიმე მდგომარეობა ექნებოდათ).

სამგლოვიარო განცხადება მკითხველს დაადონებს, მაგრამ, რატომღაც ჩემზე (ალბად სხვებზედაც) პირიქით მოქმედობს. და ეს არა იმიტომ, რომ მე, თითქოს, სხვისი სიკვდილი მისხაროდეს. არა! თვით განცხადებები ისეა შედგენილი, რომ გაგვიცინება თუ კბილი არ გტკივა.

მაგალითად, სწორად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთში ასეთ განცხადებებს:

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უცბად ვარდაცვალა ჩვენი საყვარელი, უძვირფასესი და სიამაყე ბებია

მამარინე, (მამა, მამო, მამაშა)

რასაც ვაუწყებთ მთე ღმსოფლიოს მისი ჭირისუფალი წელმოხრილაშვილები

ვინ იცის, ეგებ სიხარულით ცას სწვდებიან, მაგრამ საჭიროა ასე მოქცევა.

განუხარდებულ მშუხარებაში მყოფი, გაუბედურებული, მენდაცემული, და უდროოდ დაქვრივებული ცოლი ალათი, შვილები, შვილისშვილები და ამ უკანასკნელთა შვილები აუწყებენ საზოგადოებას.

ალცანდრა (ალექსანდრა, სანდრა, შურა) ჩიზუხიძის


ურდოოდ გარდაცვალებას.

აქ მკითხველს კითხვა ებადება: — ნეტა რამდენი მოკვდა? — და რითებზე იფიქროს: — ერთი — ალცანდრა, მეორე — ალექსანდრა, მესამე — სანდრა, მეოთხე — შურა). მეორე კითხვა: „უდროოდ როგორც სხანს ეს ოთხსაწყლიანი კაცი ღრმა მონუცი ყოფილა (ჰყოლია შვილის-შვილის შვილები). ალბად „უდროოდ“ იმიტომ, რომ ჭირისუფალს რაღაც ისეთი სერიოზული საქმე ჰქონდა, რომ მოხუცმა თავისი „უდროო“ სიკვდილით ხელი შეუშალა.“

რედაქციებმა განცხადებებსაც უნდა გადახედონ, თორემ ამდენი მლაშე წყალი — „ნიანგის ცრემლები“ მეშინაობისა და სანტიმენტალიზმის ქაობს გააჩენს და ახალყოფა-ცხოვრებას მალარიის ბაცილებს მიუხედავს.

რინტინ-ტინ.





დამფრთხალნი — ამ მატარებლის სისწრაფე უნდა შევანელოთ, თორემ ჩვენი დალუპვის სადგურს ადრე მიაღწევს.

## „პერ იკოპა“

— შეჯიბრიც ამას ჰქვია, ერთი კიდევ გიორგი და ამასაც თუ დაღვე, მაშინ მაჯობე შეჯიბრებაში და ის არის — ასე უთხრა ადგილკომის თავმჯდომარე გაბომ გიორგის და ჭიქაჭიქას დააჯახეს.

გაბომ დამარცხდა შეჯიბრებაში გიორგისთან და ამ „ბოძოლაში“ დაქანცული დაეშვა სასადილოდან სამსახურში.

— გაბომ, ცირკულიარია მოსული შემხედვარე საწარმოო-საფინანსო გეგმების მუშებში დამუშავების შესახებ — ფეხზე ადგომით და აკანკალებული ხმით უთხრა გაბომს მდივანმა.

გაბომ დაქანცულ ორთქლმავალივით ამოისუნთქა, მუცელზე ხელი გადაისვა, ჩაჯდა საფარძელში — შემხედვარი პროფინალანი, რა უნდა იყოს ნეტე, ან საიდან ჩამოდის რომ შეეხვდე.

— შენ დაღლილი ხარ გაბომ, ბეჭი მუშაობით, მე წაგიკითხავ ცირკულიარს — დატკბილული ხმით უთხრა მდივანმა და დაიწყო კითხვა:

საჭიროა განვამტკიცოთ და ფაროოდ გავშალოთ დამკვერელობა და შეჯიბრება“.

— ჰმ შეჯიბრება, — გააწყვეტინა გაბომ. იცი ჩემო, შეჯიბრებაში დღეს დაემარცხდი გიორგისთან.

— გაბომ ასე არ შეიძლება, ჩვენ ეს ცირკულიარი უნდა დავამუშაოთ. ხუთწლიან გეგმის შესრულებისათვის ბოძოლა საჭიროა — ხშირად, ედავებოდა მდივანი გაბომს. გაბომ ერთი ყურიდან მეორეში უშვებდა ამ დარიგებას. მისი სული და გული იქითკენ იყო, რომ ვინ გამოეწვია ღვინის სმის შეჯიბრებაში.

გადიოდა დღეები. ფაბრიკა-ფაბრიკას ეჯიბრებოდა, რათა ახალ სამეურნეო წელს ისე შეხვედროდნენ, რომ არც ერთი პროცენტი გეგმისა არ დარჩენილად შეუსრულებელი.

ადგილკომი-ადგილკომს იწვევდა დამკვერელობაში. გაბომ კი სულ სხვა ბორბალის ტრიალს გადაყვა. მისი დამკვერელობა მუშტი-კრეფი იყო.

კვირა დღეს დამკვერელი მუშათა

ბრიგადა ესტუმრა ჩვენს გაბომს.

— რა გააკეთე ხუთწლიან გეგმა-სათვის? — შეეკითხა ბრიგადა.

— მე ის გააკეთე, მაგრამ... ჯერ ხომ ადრეა... ხუთი წელი არ გასულა. მე, მე, კარგად ვიმუშავებდი, მარა მდივანი არ მიეარგოდა. მეტი სამუშაო ოთახი ცუდი მაქვს „ობიექტური პირობები“ არ მიწყობდა ხელს — მიუგო გზაბრუნელმა გაბომი.

მეორე დღეს მუშები შემოსეოდნენ შავ დაფას, სადაც ადგილკომის თავმჯდომარე გაბომ იყო გაკრული. „სირცხვილი გაბომს, ჩამოიჩა ყველა ადგილკომს“ ეწერა შავ დაფაზე. გაბომს პანლური ამოკრეს და კვაზივით დაუშვეს კარებისაკენ.

ახალი თავმჯდომარე, რომელიც დამკვერელი მუშაა წამოწეული, გაფაციცებით შეუღდა შემხედვარე საწარმოო საფინანსო გეგმის მუშებში დამუშავებას, რომ დაეწიოს სხვა ადგილკომს, გაბომ კი ბუზების თვლაში ეჯიბრება მასავით ზარმაცს და გარიყულ გიორგის. ივანიკა.





# ახალი „საქრებულო და ჭიანჭველა“

ანუ არაკი უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელზე

იყო ჭიანჭველა,  
უმტკიცებდა ყველა,  
რომ მოუწევს გავლა,  
თუ კი უნდა სწავლა.  
მიმღებ კომისიას,  
რომ აღგენდა სიას,  
კლასში მისაღებთა,  
ჭიანჭველა შეხვდა  
და მიაართვა არხა,  
მაგრამ დაითარსა  
ჭიანჭველა ამით:  
სურდა სწავლის „ნამით“  
გასველებს პირის,  
მაგრამ, დახეთ ჭირის  
მის თავს გადიდებას.  
კომისიის კრებას  
„ჭიანჭველა“ მხლას (!)  
მოხვდა, ვით წყლის ტალღას  
და იგრძნო საწყალმა,  
რომ წაიღო წყალმა.  
ჯერ თვით, ჭიანჭველა,  
კვლავ — საბუთი ყველა:  
ცნობა, ატესტატი,  
სახის სურათ-ხატი,  
მეტრიკა, ანკეტა  
სულ ტალღამ წახვეტა.  
მიმღებ კომისიის...  
(წესია მისი ის!)  
გაჰჭრა შვება ტკბილი,  
მაგრამ აი, რწყილი  
გაჩნდა მყის წყლის პირას  
გადავიდა ყირას,  
„ტო ესტ“ — ახტა, დახტა  
და გაჩერდა სახლთან,  
სადაც იდგა მუხა  
ანუ კაცი ჯმუხა,  
სასწავლებლის გამგე:  
— კაცო რისთვის დამგმე  
რისთვის შეიწირე  
ჩემი სახლის დირე,  
ერთგული და ყველა  
მოძმე — ჭიანჭველა?!  
ეუბნება რწყილი:  
— სულ ორ-ორი წყვილი  
ორი საბუთისა,  
პირის თუ ასლისა,  
რომ წარმოადგინა  
კომისიის წინა  
ერთად იმ საწყალმა,  
მაშ, რად შთანთქმს წყალმა?..  
მოდი, დამეხმარე,  
რამე მომიგვარე,  
წინ წამოიღე მუხა,  
ტო ესტ კაცი ჯმუხა  
და რწყილს მოახსენა:  
— „ჯერე წადი შენა,  
ნახე კაცი-ყვავი  
და მოსთხოვე“ ნავი,  
ისე ჩლავეი, ფლავეი  
ერთი განაწერა!!  
რწყილმა — მჯერა, მჯერა.  
მიადება ჯმუხას

გადაახტა მუხას  
და მონახა ყვავი.  
ყვავმაც მისცა „ნავი“  
მაგრამ ნავი ახლა.  
შესდგა ცერად მაღლა,  
ვით გაჭირი ვირი,  
და ალალო პირი  
— წადი, შენი „დუხი“..  
შენ ჯერ ნახე კრუხი,  
მას წიწილა სთხოვე  
და მომიახლოვე  
მისი განაწერა..  
რწყილმა — მჯერა, მჯერა!  
მასაც მიადება  
და მყის კრუხი ნახა.  
კრუხმაც — ჰა, დოსტ-სტკიცა  
და წიწილა მისცა.  
მაგრამ თვით წიწილამ  
ეს ძლიერ იწყინა.  
და რწყილს მოახსენა:  
„ჯერე წადი შენა,  
ნახე ორმო — მხვეტი  
და მოსთხოვე ფეტვი,  
ერთი განაწერა...  
რწყილმა — მჯერა, მჯერა.  
წიწილს მიადება.  
და ის ორმოც ნახა.  
ორმომ მისცა ფეტვი,  
მაგრამ ფეტვმა კეტი  
ლამის თავში დაჰკრა.  
ლამის მზე სულ ჩაჰჭრა  
რწყილისთვის ერთ წუთას,  
ფეტვმა ასე უთხრა:  
„წადი, ნახე თავვი“

და მას თხოვე რაგვი,  
ერთი განაწერა.  
რწყილმა — მჯერა მჯერა  
ორმოს მიადება  
და მყის თავვიც ნახა.  
თავვმა მისცა რაგვი,  
„ტო ესტ“ მთელი ჯაგვი  
რალაც ხელწერილთა,  
რასაც ვერც კი მიხვდა,  
ისე გააქანა  
ფეტვისკენ თვის თანა...  
მაგრამ განაწერა  
შესდგა გზაში ცერად,  
და რწყილს მოახსენა:  
ჯერე წადი შენა  
და მონახე კატა,  
მისგან ანდამატი  
მომიტანე ერთი  
ქალაღლის ნაფლეთი.  
ახტა რწყილი, დახტა,  
მხოლოდ მადა წახდა  
ესოდენი რბენით.  
თუმც ქალაღლზე რწყენით  
დარჩა ის კვლავ, მარა...  
რომ ვერ დაეხმარა  
თვით ქალაღლთა დასტა,  
ისიც წყალში ჩახტა  
და გაინაწილა  
ბედი ერთი „ფცქილა“,  
მანაც ჭიანჭველის. ,  
ძმა ძმას თუ ვერ შევლის  
და სხვა ძმაც აღარ ჰყავს  
წყალს მხარულს ვერ გაჰკრავს.  
ჰაზირა.

## ჯორჯენაძის ქალის „პრინციპი“

ზოგს ჰგონია, რომ ბიუროკრატობა  
ქალზე ძნელი საქმეა, მაგრამ ჯორჯენა-  
ძის ქალს, რომ ჰკითხოთ, ასე გიპა-  
სუხებთ: ყველაზე უფრო ცხოვრება-  
ში მე ბიუროკრატობა მეხერხება, რა  
ვქნა ასეთია ჩემი თანდაყოლილი ნი-  
ჭიო.  
ახლა ვიკითხოთ ვინ არის ჯორჯენა-  
ძის ქალი? ის გახლავთ კოოპერა-  
ტიულ სარემდეგ „ნდობას“ მოლარე.  
მართალია ვიღაც „პაქალუსტა“ პრო-  
ტექტორის თვალის დიდი ნდობაა ის  
თორემ როგორ მოახერხა მოლარეთ  
შეძრომა და ისიც „ნდობა“-ში.  
ახლაგაზრდა თუ ხარ და უღევანებ  
აწყობული, მაშინ მოკვდეს ჯორ-  
ჯენაძის ქალი, თუ ხელად ჩეკი არ მო-  
გართვას, მაგრამ ის „ნასწავლი“ ქა-  
ლია და იცის ბიუროკრატობა სად გა-  
მოიწინოს — მუშას თუ სალაროსთან  
მოკრა თვალი, ცხვირს მაგიდაზე და-  
რგავს და სიტყვასაც არ კადრუ-  
ლობს.

აი მაგალითიც: სამშაბათს, 16 სექ-  
ტემბერს, სალაროსთან რიგია გამარ-  
თული. უხარია მას ეს ამბავი, — ჩემს  
სალაროსაც ეღიროსა რიგი. მაშ დი-  
დი ქალი ვყოფილვარ — გაივლო ბი-  
უროკრატულ გულში.  
— რა ღირს მაწონი?  
— რა ღირს ჩაი?  
— გამოსწერეთ ჩეკი — ასე ემუ-  
დარებიან მუშტრები, მაგრამ ის ლ-  
პარაკსაც არ კადრულობს.  
— რაშია საქმე? პასუხს რატომ არ  
გვაძლევთ? — აღელდა ერთი.  
— ეგ ჩემი საქმეა, პრინციპის გუ-  
ლისათვის არ გიპასუხებთ, გთხოვთ  
მიბრძანდეთ — პატარძალივით იღი-  
მება ჯორჯენაძის ქალი.  
ფრთხილად „ქალბატონო!“ — თუ-  
რემ ბიუროკრატული პრინციპებმა  
ერთ მშვენიერ დღეს ფრთებს გამო-  
გაბამს და სამსახურიდან გაგაფრენ-  
თქვენს „პროტექსთან“ ერთად!  
გვანიკა.





თავი პირველი, რომელშიაც აწვრილია მფარველებთან უზენადა.

მოგზაურობას ავიწერთ,  
ამ ზაფხულში ვინ სად ეწახე  
(რედაქტორმა გამაფრთხილა,  
არ ვისზე ვსტევა სიტყვა შევახე).

პირველად ქვეშეთს ვიწვიე  
სადაც მწერალთა სახლია.  
გადაუხურავთ, მაგრამ მას,  
კვლავ შევქეთება აკლია.

მიხელო ვავანისშვილი  
წყაროსთან გამომეგება:  
— „ბლატინს ცემენტი თუ მოაქვს  
გეთაყვა იცი ეგება!  
სვეტები ექანებიან  
მიტეხენ გულის ძეგრასა,  
მე ამ ყოფაში ვერ შევძლებ

მარაბდის გმირზე წერასა“!..  
მაგრამ სწებმა სთქვეს: მიხელო  
წერაზე აქ მხნედ არიო,  
მისი რომანის ხელთნაწერს,  
ვერ ზიდავს სახედარიო.

სამი ნაძვის ქვეშ გაეგოთ  
ფართე ფალსი ჭრელია,  
უხსდენ: გერონტი, არისტო  
და საშა აბაშელია.

ცეცხლადეს სიმონ ხუნდაძე  
ჭადრაკში გამოეწვია—  
და ყველა ამას იღებდა  
კინოზე სახკინმრეწვია.

ვასო გორგაძე — სპორტსმენი  
უნდა ეახსენოთ ქებითა,

კოკამდე წყალში სტურავდა  
ტიტვლად, არ ტრუსიკებთია.

„უვარყვარეს“ ავტორს არ ჰქონდა  
მოცლა არც ერთი წუთია,  
წინ ხელთნაწერი ეყარა,  
სულ ცოტა — ერთი ფუთია.  
ფურჩიე: ამდენს წუ შრომობ  
დაგემართება ჭლექია!  
მითხრა: „დე, მოვკვდე  
მხოლოდ კი დავსწერო, ნაცარქექია“.

იქიდან წაველ ბორჯომში,  
გრიშაშვილი ეწახე პარკში.  
ლამაზ ქალთა შორის იჯდა  
გართულებო ლაპარაკში.

მითხრა აქ „ფიროუხაში“ ვარო  
მოგვკლეს ბორჯომის წყლის სმითო,  
მე და უშანგი ჩხეიძე  
ნამეტანი ჩამოვხმითო.  
მერე წყაროსთან მივედიო  
გადავჰკარიო თითო-თითო.

დემნაც იქ იყო „ცხრა-თვალთ“  
სიმონ ჩიქოვანს ელოდა  
და ჩერნიავესკი კოლაუ  
თავისთვის მიიმტეროდა.

ბორჯომში სიმონ წიველიც  
ჩავიდა მიუწვეველი, —  
ველარც სადილი იზოვნა,  
ვერც ბინა გასათეველი.

ცემში ხარტონ ვარდოშვილი  
კუჭი აშლოდა ღამითა,  
სთქვეს თუ ქეიფმა უქნაო, —  
მაწონი ესეა ჯამითა.

ბაკურიანში ლისაშვილს  
სწვევოდა მუხა ბარაქით,  
შვიდი პოემა შეეთხზა.  
გასუქებულსა კარაქით,

ქობულეთში ეწახე ეული;  
ზღვის პირას, არა ბანაზე,  
სპორტსმენის მოკლე ტრუსიკით  
დაგორაობდა სილაზე;  
ძლიერ მოსწონდათ დელფინებს  
მისი გრაციის სინაზე.  
თავის ახალი კრებულარც  
წინ ედო მტრების ჯინაზე.

გაიოზ ყირიმელი.

## მცირე განსხვავება



— ჩემს მოხსენებაში სულ მცირე გაუგებრობა აღმოჩნდა. უნდა დამე-  
წერა, რომ საწარმოო გეგმა შესრულებულია 9,9 პროც. და მე კი 99  
პროც. აღვნიშნე სულ რაღაც ერთ პატარა ნაშანში — მძიმეშია განსხვა-  
ეება, სხვა ხომ არაფერი?!



## დასილოსება

— რატომ არ დაიწყო სილოსისათვის ორ-მოცხის ამოღება? — შეკითხნენ მცხეთის აღმასკომის თავმჯდომარეს.  
— იმიტომ, რომ დირექტორმა არ მიგვიღია! — იყო პასუხი.

(გაზეთებიდან).

შფოთავეს მცხეთის აღმასკომის თავმჯდომარე — გული სტკივია დირექტივას ელოდება, აღარ მოდის დირექტივა. „დისციპლინის“ კაცი არის ჩვენი ძია, თავმჯდომარე, დირექტივა არის მხოლოდ. მისი მზე და მისი მთვარე. ვთქვათ, გაფრინდა დირექტივა! — მიშინ რაღა უნდა მოხდის?! — მხოლოდინში თავმჯდომარე თვითონ უნდა დასილოსდეს.

## გაფრთხილება

ს. ზემოხეთის სამეურნეო არტელს საქამიესერის საწარმოო ამხანაგობამ უარი უთხრა სილოსის დასამზადებლად ავტორის მიწოდებაზე.

— ჩვენ სილოსის დარდი არ გვაწუხებს! — განაცხადეს ამხანაგობის წევრებმა.

(გაზეთებიდან).

აფსუსს! როგორ აფუჭებთ საქამიესერის „ნიუტონებს“ თქვენი წარმოების სახელწოდებაში ნახმარ სიტყვას „ამხანაგობას“!

ჩვენ გიჯერა, რომ ზოგიერთ თქვენგანს სილოსის და საერთოდ, მუშურ-გლებური ხელსუფლების საწარმოო გეგმების შესრულების დარდი არ აწუხებს, მაგრამ სამაგიეროდ „ტარტაროს“ თქვენისთანების დარდი ძალიან აწუხებს. აგარაკიდან ისეთი აპეტიტით დაბრუნდა, რომ თუ სადმე გინელთათ თქვენს ძვალსაც აღარ ეატოვებს.

ფრთხილად საქამიესერის „ჯინტლმენტებს“!

## მიმაგრება

„ჩვენ, სლამტრესტში მომუშავე ინჟინერ-ტენიაკოსთა ჯგუფი. ვაღვიარებთ, რომ გადასვლა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე და ისიც პასუხისმგებელ მომუშავე სპეციალისტების ჩაშლას უჭადის ჩვენი საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებას, ამის გამო ვაცხადებთ ჩვენს თავს მიმაგრებულად ერთ ადგილზე და სიტყვას ვიძლევიტ არ დავიძრაოთ ჩვენი კაბინეტიდან ზუთწილედის დამთავრებამდე.

ხელს აწესს 100 მოქალაქე.

## ა ე წ ვ ა

ლვინის გაძვირებამ რკინის გზაზე დადებითი შედეგი გამოიღო, რადგან ლოთობამ შემსწრეაო იკლო.

(სიღნაღლის წერილიდან).

— ეახ, კაცო, კაცო ამისთანა საქმე გაუთინილა? წინად, რომ სადმე „ჩასნი“ გუფტში ან რესტორანში ჩავიდოდი და ერთ ბოთლ ლვინოს მავითხოვდი მეორეს ფეშქეშათ მომიტანდენ. ეხლა კი სულზე ნახევარ ბოთლზე მეტს არ მაძლევენ. ზიარება?

ზოგიერთ ადგილებზე სასაძილოების დათვალიერებას ზერელე ხასიათი ქონდა და ბრიგადის წევრები უბრალო: გაჭლით დაკმაყოფილდენ.



მოცავიღენ



დაცაუნოსეს



წაცავიღენ

## მათაც იგრძენეს

ზოგიერთი პროფორგანიზაციები ადგილებზე უმოქმედობას იჩენენ საწარმოო-საფინანსო გეგმის კამპანიის ჩატარების საქმეში. მათ ასამოძრავებლად საჭიროა 20.000 ცხენის ძალის მქონე დინამო-მანქანის ენერგია.

(ჩოშა. „...ოლაას“ წერილიდან).



პროფკავშირების ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის გამოსაცოცხლებლად ვგზავნი 100 ათას ნამდვილ ცხენისაგან შემდგარ ჯოგს მუშუკორ კოდლას განკარგულებაში. როგორც აქ მოთავსებულ სურათიდან სჩანს ცხენებიც გრძნობენ პროფორგანოების უმოქმედობას და მოწყენილი არიან.

## გაწმენდილი

— უკანონოდ გამწმინდეს.

— მერე რატომ არ ასაჩივრებ? შეიტანე განცხადება, გამოიკვლევენ და წერილებით შენს საქმეს და აღვადგენენ.

— რას ამბობ! ხმასაც წარამთმეივენ.

## შრომის გმირი

— გასწორდი ზზიაშვილო, გასწორდი! სურათი უნდა გადავიღო.

— პირადობის მოწმობისათვის? — ჩაერია ერთი მუშათაგანი.

— მოწმობისათვის კი არა, შრომის გმირია!

— როგორ, არ ვიცი!

— როგორ თუ არ იცი? ბეცი ხომ არა ხარ? ზზიაშვილი სამაგალითო მუშაია! არც ერთი დღე არ გაუტყდენია! სამსახურში თავის როლი მოიღოს! საექიმო ბიულეტენითაც კი არ უსარგებლია დღიდან ჩვენს ქარხანაში შემოსვლისა. ერთი წუთი არ აქვს ვანაცდენი.

— მეიკვება, საში - ოთხი დღე მანც გაუტყდებოდა.

— გიჟი ხომ არა ხარ! ორი დღეა რაც ქარხანაში შემოვიდა.





## შეიშარა

**აქარის წყალი.** (ბათომი) ბოროტი ენები სისინებენ, რომ საწარმოო ამხანაგობის 1210 მან., რომელმაც 30 ავეისტოს დამით დაკეტილ-სალაროდან გაიპარა, თავს იმავე საწარმოო ამხანაგობის თავმჯდომარის რიფეტ საითაძის ჯიბეში ინახავსო.

რიფეტ საითაძის მიერ მიღებულა სასწრაფო ზომები ბოროტგანმზრახველის კვალის დასაფარავად. (მანე).

## ადლოვა

**იქიდანვე:** პურის საეპროს ნოქარმა, იბრაიმ საფარიძემ, რომელმაც თავი დამკვრელად გამოაცხადა ვერცხლის ფულის დავროვებაში, ფოსტის გამგე პავლე თუთაშვილი სოცდემოკრატებში გამოიწვია.

ირკვევა, რომ ხელშეკრულება საფარიძემ პირნათლად შეასრულა, გეგმას კიდევ გადაჭარბა და ვერცხლის ფული სრული 100 პროც.-ით დააგროვა, რისთვისაც საფარიძემ თავის საყვარელ თავს მაღლობა გამოუტყდა. (მარტისა).

## დასილოსება

**ბათომი.** ბათომის მუშაკობის საწყობებში, საწყობებისა და მალაზიების გამგებმა დაასილოსეს 300 ფუთი ყველი, ამდენივე კილო ძეხვი და 250 წყვილი ბავშვის წინდები. ამის შედეგი ის იყო, რომ პროკურატურამ „ენერგიულ“ მუშაგებს თავი გამსახლში ამოაყოფია.

აშურულ.

## ტარაკუნე

**ზესტაფონი.** წითელ სასადილოს გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, გადააკეთოს სასადილო ტარაკუნეთი: ესე იგი ტარაკუნების გასაშენებელ სადგურად, ვინაიდან გამგეობის აზრით ეს პატივცემული მწერები ხელს უწყობენ საქმელის განოყიერებას. ახლო მომავლისათვის ნავარაუდევია 100.000 ფუთი დამარილებული ტარაკუნის გატანა (ექსპორტიზაცია) ზესტაფონის მეზობელ რაიონებში. (ხი-ხი)

## დაიკარგა

**ძირულა.** უგზოუკვლოდ დაიკარგა თემალმასკომის ფინომომუშავე კოლია ებანოიძე თავის დავთრებით და საბალანსო წიგნებით. მიღებულა ზომები მის მოსანახავად. შედეგებს გაცნობებთ. (კი).

## ხუთი ფანი.

**აქიდანვე.** „ტანგო ერმალოზს“ სამი ფეხი გამოეცა (დამატებით, ორის გარდა). როგორც ამბობენ ცენტრალურ ორგანოებს გადაუწყვეტათ მისი თფილისში წაყვანა მუზეუმში მოსათავსებლად. მოქალაქეებში პანიკა: „ერმალოზი თუ არ იქნა ჩვენი დაბა უმარილოთ დარჩება“. (—ტა).

## პასპის რაგე რუგი

1.

ტარტაროზო გზა ვიცი,  
მორი მოწყე მხარ-და-მხარ,—  
ჩვენი კოოპერატივი  
დიდმა „თავგმა“ გადახრა  
ნოქარი გაიცანი:  
არუწოვი რუბენა, —  
და მწამს შემდეგ შენივე  
ქარი შემოტუბრავს!..  
შავსიელი კაცია,  
გაწმინდეს, „მოგვაშორეს“,  
მაგრამ ისევ აქ არის,  
ლამის არის ამორდეს!..

2.

აღმასკომის მდივანი:  
ყიფიანი თავადობს, —  
ცოლის ძმები მოაწყო,  
თითონ თავის-თავადო!..  
ეს ზურაბი ლოლადე  
უგზო-უკვლოდ ტრიალობს,  
სამსახურის დროს მუდამ  
სადგურზე ხეტიალობს!..  
ეს რა არის! საამბობი  
კვლავ ბევრი დამრჩენია,  
აღმასკომში მომუშავე,  
გაიცანით: ეენია...  
არშიყობას უნდება  
ენიც საქმისთვის მივა-დ-,  
ანკი ვისი შერცხვება  
კარგათ არის მდივანთან!..

სტიქიობი.

## გაფრთხილება

(ჯაპანა)

დემრთი დაბერდა ტარტაროზ.  
ვებრუნე შენსკენ პირია,  
თქვენსა სარჩლობას მოველი.  
თქვენი ჩანგალი გვჭირია.  
ზ.ა.გ ამას გეტყვი, ზოგ იმას  
ვის რა გვაქვს გასაჭირია,  
მოინახულე ჯაპანა  
თუშცა გზის ფული ძვირია.

3. ლატფორმაზე, რომ ჩამოხეალ  
შეგზვდება მინა გმირია,  
გაშეკა სასადილოსი  
მუდამ მაღლა აქვს ცხვირია.

ლენოა მისი დევიზი,  
მისი დროშა და ალამი  
გთხოვთ, რომ გაიცნოთ და მისცეთ  
სინის მათრახით სალამი.

კულაკები შეიფითისა  
პროლეტარებს გვიქნა განი  
გამოსწორდეს, თორემ მზად იარ  
მისი ძველი

ზელიმხანი.

## შეარისცხვალება

(„საქ. ღვინვალოზთან კავშირი“)

მე „საქართველოს ღვინო“ ვარ, —  
ეს მქონდა ღღემდე გვარია,  
იმის სინსილა ამოწყდა  
ვინც ჩემი საქმე არია.  
„ბაღმოსტანთ“ გადამაკეთეს,  
ღირსება ჩემი ამხადეს,  
ვიყავ განთქმული ორგანო.  
ღღეს მეწვანილე გამხადეს.  
ამკიღეს რაღა „ულმერთოთ“  
ზურგზე მე ვაშლის ცალები,  
ღღეს მხოლოდ ყველა დამცინის,  
არავის არ ეგებრალები.

—:—

მარტო არტემმა იწვალა,  
რომ ყყოფილიყავ ერთია,  
არ დაუჯერეს არტემსა,  
„გაუწყრეთ მაგათ ღმერთია“.  
მაგრად დასმულმა საკითხმა  
კვლავ გაიტანა მისია,  
მხოლოდ სახელი საქმეო  
ვერ ნახეს საკადრისია.  
„საქღვინვალოზთან კავშირი“,  
ასეთი გვარი მიწოდეს,  
ეხლა მწვანილი და ხილი.  
ბევრი მაქვს, — ყველამ იცოდეს.  
მაღე ხილს ველი გორიდან  
მაგრად შეკრული ტივებით,  
ყოველდღე მაძღრად განლაგარ  
სხვადასხვა დირიქტივებით.

ძნელ-ოღლი.



ის, ის იყო „ყუმბარა“-ს იუმორისტული წიგნაკი გადავიკითხე და მეტი სიცილისაგან დაღლილ დაქანცულ-მა კალაშს ხელი მოვკიდე და ვაპირებდი ბიბლიოგრაფიული შენიშვნის დაწერას, რომ ჩემი ოთახი ხალხით გაიჭედა, მერე სულ უცხო ხალხით, ჩემს დღეში ეს ხალხი არ მენახა. ოთახში ყრუ უკმაყოფილების სმები ისმოდა. შიშით თავი ჩავლუნე და არ ვაპირებდი ზევით ასე დევას, რომ უცბად გვერდში მაგარი მუჯღუფუნე ვიგრძენი. თავი ავსწიე და გავიხედე. ჩემს წინ იდგა ვიღაც ბაყბაყ მდევი, გეგბერთელა კაცი, თვალებს ხარივით ამრიალებდა და ჩემი ბარკლის ოდენა მკლავი მაღლა აეშვირა და ჰაერში იჭენვდა. შიშით გული გამისკდა: ვაი თუ დაეშვას ეს ვეებერთელა რამ და ტყლაპივით გამხადოს მეთქი.

— შენ ხარ ყუმბარა? გაისმა გრგვინვის ხმა— როგორ ვაბედე ჰა? როგორ? ვეღარ მიცანი? მე ვარ გიორგი მიტმასნაშვილი. შენ მე გამაბიბრუე, სახალხოთ თავი მომჭერი. რათა? რისთვის? ჩემისთანა პარტიის ერთგული კაცი დუნიაზე მეორე არ არის. მე ვარ რაცა ვარ. შენ კი მომდექი და თავზე ლაფი დამასხი. შენის წყალობით პარტიიდან გამოძრიცხეს, სამსახურიდან მომხსნეს. რა ვარ მე ესლა? მითხარი რა ვარ მე ესლა? აბა თუ ბიჭი ხარ ესლა გამისწორდი. დაიღრიალა მან და მეორე ხელიც მაღლა ასწია. შიშით გული გამისკდა, აქეთ-იქით თვალი მოვაგლე, მაგრამ გასაქცევი არსად მქონდა.

— თქვენ სცდებით, მე „ყუმბარა“ არა ვარ—ძლივს წამოვიკნავლე მე.

— სტყუის! სტყუის! შეიქნა ოთახში ღრიალი.

— მე გამიშვით, მე კარგად ვიცნობ მაგას—მოისმა ბოხი ხმა და უცბად თავს წამომადგა ახმახი კაცი.

— მიცნობ?—დამკინავის კილოთი დამჭყვივლა მან— მე ვარ სოსიკო ვადერენაძე. გეყოფა, რაც ჯღაბზე ჩემზე, ესლა მე ვიცი სად ვაგაძვრენ. აბა ერთი მითხარი როდის იყო, რომ გლეხობას მოეთხოვე ბატონდაური, ქათმები, კვერცხები და ვირები კოლექტივში შეეტანათ. შენ მატყუარა ხარ. შენი წყალობით პარტიიდან გამოძრიცხეს და ესლა არავითარ ჩემს მოქმედებაში პასუხს არ ვაგებ.

— გეფიცებით მე არა ვარ.

უცებ ოთხი კაცი ერთათ წამომადგა თავზე და ერთი მეორეს არ აცდიდენ, ისე ჰყვიროდენ.


— მიცნობ? მე ვარ პეტრე პენტერაძე. მე მიცნობ? მე ვარ სიმონ ქებაძე. მე ვარ ყოყოჩაძე, მე კინტრაძე. გიჩვენებთ სვირს ჩვენი გამასხარავებისათვის. შენ ხარ „ყუმბარა“ ჩვენი თავის მომჭრელი. აბა თუ შეგიძლია გავისწორდი.

— ჩვენ რალა შუაში ვიყავით შვილო, რომ თავი მოგვქარი—მოისმა უცბათ ტკბილი ხმა. გულს იმედი მომეცა და ზევით ავიხედე. თავს მაღლა ორი მღვდელი. ვიფიქრე, ეს არის მეშველა მეთქი და ზეზე წამოვდექი— ჩვენ მღვდლებმა გამოგვგზავნა დელეგატებათ, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ არც თქვენ და არც ს. თ—ია ერთხელაც არ ყოფილხართ ეკლესიაში და ტყუილად მოგვიგონეთ, თითქოს ჩვენ მამაოჩვენოს ვკითხულობდით ეკლესიაში.

— წმინდა მამებო, თქვენ სცდებით, მე არა ვარ „ყუმბარა“.

— ეგ არის, ეგ! მოისმა საშინელი ყვირილი და მრავალი მუშტი ალიმართა ჰაერში.

— ერთი ეს მიბრძანე, ყმაწვილო, ჩემისთანა პარტიის კაცი შენცა ხარ? რას მიბრძანებ თვალებს? ვერ მიცანი? მე ვარ კოლა ზაუტაძე. მე კოლექტივში თავის დროზე შევიტანე ჩემი ქონება. შენ კი, ვინ იცის, რაებს არ ჩმახავ—ისეთი ხმით დაიღრიალა მან, რომ მეგონა ცა ჩამოინგრა



— რას სჩადი ამხანავო! თავს რად იხრჩობ! მართალია შავ დაფაზე გამოგაცხადეს მაგრამ...

— რას მიჭარავ დაიკარგე აქედან! ხელს ნუ მიშლი, ზავშებისათვის საქანელა უნდა გავაკეთო!

მეთქი. სტაცა სამელნეს ხელი და მესროლა. საბედნიეროდ დროზე მოვასწარ მაგიდის ქვეშ შეძრომა, თორემ სულს გამანთხვენიებდა.

— არა მე როდის ვყიდი ბელელს? ვერ მიცანი? მე ვარ ალფესა მაშაძე, მე კიდე პეტრე ბრძოლაძე, მე ათანასე გაქნილაძე.

მაგიდის ქვეშ დან გამოძრომას არ ვფიქრობდი.

— გადაეაბრუნოთ მაგიდა—მოისმა მიტმასნაშვილის ხმა, ერთი რიგზე მოვსცხოთ მაგას, რომ შემდეგში ქკუა ისწავლოს.

მსწრაფლ მაგიდა გადააყირავეს.

— ძმებო! გეფიცებით მე არა ვარ „ყუმბარა“. ის ესლა ზღვაში ბანაობს. თუ გინდათ იქ წადით, ოღონდ მე კი თავი დამანებეთ.—შევეცდრე მე და თან ნელ-ნელა ღია ფანჯარისაკენ ვიხედე. ჩემი მანევრი ვერ შეამჩნიეს, იმდენად იყვენ გაბოროტებულნი.

— სტყუის, ეგ არის, ეგ—გაისმა მრისხანე ხმები.

ამ დროს ფანჯარას მივუახლოვდი, ერთი ვისკუპე და მოვკურცხლე. კიდე შორს მესმოდა ყვირილი: „დაიჭირეთ, არ გაუშვათო“ და მსხრევა-მტერევის ხმა.


ჩემს ოთახს ანადგურებდენ. **ალმასი.**





(ზიათურა)

ცენტრალია? ჰა? ბარიშა, გადამაფსკვენი ერთი, დედა მუ მოგეკვდება, დიომიდე სეფისკვერაძეს. რაიო? ზანიტიაო? აბა, მოუტედი პარატას, მარა გავაგონებ, ვითამ, ბარიშა, მეორეთ რომ დავრეკო? ჰა? კი? არა მგონია, გლახა სანდობი ხარო ფქვენ. რაიო? უყე განთავისუფლდა? აბა, მიშველე, გადამაბი დიომიდეს, შენ კარტიშკას დაენაცვლოს მალაქია ხაჭაპურიც, (რეკავს).



## ზოგიერთ დაწესებულებაში



— ჩვენს წარმოებაში ყველაფერი საათივით არის აწყობილი.  
— როგორ, საათივით?  
— მოშლილია! ვერ ხედავ, რომ მიუსვია ფეხი ღუმ-ლაძის ფორივით და გავქავებულა?

ბოშო, დიომიდე, დიომიდე? მეიხედე აქეთ. ბიჭო, შე გაფუჭებული, შე მაიმუნო, შე ციგანო შენა, აგია, ბიჭო, შენი პირობა, რომე ერთი აღარ გამეხებდე ჩემსკენ! ჰა? დიომიდე არ ხარ?! აბა, ვინ ხარ? ნაზ-მილიცია? მინავათ, ჩემო ბატონო, მინავატ!.. რა გვარის ვარ?! მე.. ჩემო ბატონო... რა ქვიან... ფაი... ხო... არ ვიცი ბატონო, ახლა მე რა გვარი ვარ, რატომ არ ვიცი?! ისე, ბატონო... რაიო? რაიო? ლაპარაკი გაათევეო? ვინა ხარ შენე? ბარიშა, ბარიშა ხარ შენ? იმე, მაცა, ბოშო, ჯერე! ბოშო, შე გითხარი დიომიდე სეფისკვერაძეს შემაერთე ფქვა და შენ ნაზ-მილიციას გადამაფსკვენი?! რალმე გადამკიდე ხლაფორთს! იმე, შე ქალო, ჯერე დიომიდეს არ დავლაპარაკებოვარ და რაფერ გავათავო! მაცა, გავიცებ მაგ შენ კაი ქალობას, ორი კეკალი სიტყვა მათქმე და მერე გავგავრთე. (რეკავს). ვინ ხარ? დიომიდე ხარ? მადლობა ღმერთს, რომ მოგაგენი! რაიო? სად იყავი? იარმუქაში? გამოდმა გამოფტანიათ იარმუქა ყვირილის პირზე? აწი? დიდი ლოთობა იყო კვირესი? რავა, კაცო? გუფეტი გოუმართავთ მედგინე გლეხებს?!.. სად, ბიჭო, სად? ნად კუროი?! ბიჭო, სიდან მელაპარაკები: ქიათურდიდან, თუ ტიფლისიდან? ნად კუროი ბუფეტი მე ტიფლისში გამიგონია. აბა, სად გოუმართავთ, კაცო არ იტყვი?! მოაბრუნე მაგ ენა რივიანად. სად? ნად კანალიზაციი?! ქეტომ ტრუბა ჩამოდის ყვირილაში იქანა?! კაია ერთი დედა ნუ მოგეკვდება! კაი „გოზღუხზე“ კი გამოსულან! მერე ამასკომი უშობს ამ ლოთობას? სდუმს?! ვერაა მაგი კაი ამბავი! ფართალი ეიღე მუშკოპში?! შენ ყოფილხარ, ბიძა, კომისარი, შენ თუ იქანა შეყავი ცხვირი! მწვანელეულობის ადელენიაშიაც იყავი? აწი? დამბალ მწვანელს ყრიდენ ყვირილაში? რატომ, კაცო, რატომ? რავა, ცოტას ვერ მიეტანებენ, რომ შეაგუბეს ეს ყვირილა ამდენი რედისკით? მაცა, ბარიშა, მაცა! დამალაპარაკე ორი კეკალი სიტყვა ამ ჩემ მოყვარე კაცს! მერე? მერე, თვარა არ გამოვინო მაშინვე მეორეთ, რომ დავრეკო! დიომიდე, დიომიდე! მეიხედე აქეთ.. ბარიშა, ბარიშა!.. რავა ინტერესნი ადგილზე გამაწყვეტე ლაპარაკი, შენ გაგიწყდა სხელი! ვანიჩკა ყიფშიძესთან მანდოდა ლაპარაკი და რომ აღარ მაცალა ამ სახლკარ ამოსახუგავმა!.. სმოლოჩ!..

გ ლ გ ი ა .


## ღია ფერული ვანო კომახიკის

სალამი ვანოს რას შევები ბიჭო! შენ ავი ვანო კომახიკე არა ხარ, 1927 წელში, რომ მიწა გაყიდე? ამის შემდეგ ტფილისში სამსახურის დროს, რომ თრა ბოჭკა ტარანი „გაი-მასქენი“ და სოფელ ტახანათის (სუფსა) მცხოვრებლებს რომ მიყიდე, ვერ გიცანი ბიჭო! შენ ის ვანიკო არა ხარ, ბათუმის საავადმყოფოში სამსახურის დროს რომ ამოიტანე სუფსაში საავადმყოფოს ანგენტარი (ხე-წრები და სხვ.) და მიყიდე ვალიკო ელენტს, ერთი თვის შემდეგ, კი ისე

გამოსყიდე და დაუმბრუნე საავად-მყოფოს? ეხლა ბიჭო ვილაცხვებს „წითელ სა სადილოს“ გამგეთ აურორევიხან და შენც არ ჭამო ბიჭო სირცხვილი იმ „მწყალობელ ხელთან“, ვინც ეს „სახრავი“ საქმე მოგიწყო. ის კი სა-მადლო საქმე გიქნია ბიჭო, რომ შე-ნი მეგობელი ვასილია მიგიღია მზარეულად. ვასილია ცნობილი კა-ცია; ყველა პატივსა სცემს. მასზე ლექსიც კი გამოსქმევს:

„ვასილ ბაში, ყიზილ ბაში, ღვინოს ყიდდა ხიდის თავში, იქ ხეირი რომ ვერ ნახა, ჩამოვიდა ტახანათში, აქაც ვედარ იხეირა. ეხლა მიდის კაჭარაში“-ო.  
მე ვფიქრობ, რომ მაგ სასადილო-ში მაინც ნახავს ხეირს და აღარ დას-ჭირდება კაჭარში (სოფელია) წასე-ლა... თუ დროზე არ ავიწყვეს ორი-კე ვაუბატონს კულის რიკი.  
ი. სუფხელი.





სამუდამოდ გულმოკლული და გაუბედურებული ბირისუფლები: ბაიოზ მენუმვიკაჰე, ნიკო ოკორბუნიტივილი, კავლე მახაკაჰე, გედმონ კონტრაჰე, ლუბა პრისესაუვილი, ლევან ემი-ბრანტიანი და ფრანც ინტერმენციანი აუფუბან საზოგადოებას, რომგარდანიცვალა მათი ერთად-ერთი ნუგეზი—სუთფლედის პირველი ორი წლის სანაშობო გეგის ჩაქვი

# იველი

პანაშვიდი ყოველდღე, სუთფლედის დასკულებამდე

# გოღოკრი

სამ-შვილს (საჯავახო).

თქვენს სოფელში ალბად ბიო,

რადგან მეტად დაცხა,

თაგში „ბუზი“ შეგიფრინდა,

გსურდა გეთქვა რაცხა.

დომხალი რომ გამოვიდა,

შიგ აზრი ვერ ვნახეთ,

და მარშრუტით, პირდაპირით

გოდორს გადუძახეთ.

გიტოს (აქვე). თქვენი „ლექი“ ასე იწყება:

„ვერ ავიტანე

ტარტაროზო,

სატრფოს ოაოატი,

ნეტავი მომცა

თოლხო კვერცხი

ერთი კალათი“.

არ გაქვს და მაინც ლექსების გრიგალს აყენებ და

რომ გქონდეს, სულ წავილეჩებით შენი „ხმა საამუროთ“.

მთავარში მაინც გეთანხმებით: კვერცხების ღალატს

სატრფოს ღალატი სჯობია.

გუბელს. (ქუთაისი) მოგვეყავს ნაწავები თქვენს

გალექსილ ეპოპეიდან:

„ჩემი ცოლი წამეჩხუბა

ამევიდა კატიე,

წყალტუბოში წავიყვანე

ღამე გარეთ ვათიე“.

მიტოა პოეტურ გუნებაზე რომ დამდგარხნარ.

კოდალას. (სამტრედია). სოფ. წიაღობნის შრომის

სკოლას მასწავლებლის ნიკიტას შესახებ გვატყობინებთ:

„წიაღობნის შრომის სკოლას

მასწავლებლობს ნიკიტა,

ის რომ მოწაფეებს სცემდა

მე გული ამიტირდა...“

ვერ ყოფილხართ მაინცდა მაინც დიდი „მებრძოლი“?

ტირლით რას უშველი? მართალია მოწაფის ცემა მას-

წავლებლისაგან სატირალი საქმეა, მაგრამ სამაგიეროთ

თუ ეს ფაქტი დადასტურდა, ნიკიტას განათლების გან-

ყოფილება „გააცინებს“.

ს—ს (კასპი) არტელის შესახებ გვატყობინებთ:

„ტარტაროზო გაიცანი

ჩვენი არტელის ბუნება

დროზე თუ არ

გაიწმინდა

ელის განადგურება“!..

ამის მიზეზი კი ის ყოფილა, რომ:

„კულაკები შეიპარენ

უყვართ მგლური თარეში

ღარიბ გლეხებს უცქერიან

შესაქმელად თვალეში“.

სამწუხარო ამბავია, მაგრამ ადვილად დასაძლევია!

კულაკების არტელში მიღებაა ძნელი, თორემ გამოიბრძ-

ნება იოლი საქმეა.

ჩემუკოს (ლანჩხუთი) სურათები საერთოდ კარ-

გად არის შესრულებული, მხოლოდ მუქი და ერთფერია.

რის გამოც დასაბეჭდათ ვერ გამოდგება.



„არის შემთხვევები, როცა კოოპერატიული ღუქნების გამგეები, რომლებსაც დავალებული აქვთ გლახებისაგან პურის მიღება, თავის ნებით კეტავენ ღუქნებს დასაქციფოთ მიღიან“.  
(ამხ. ფ. მახარაძის წერილიდან).

პურის  
საწყობი



— დიდიდან ამ რიგში ვღებვართ და ჩვენი მიძღები კი არსად სჩანს.  
— ჰე! ის არსად ალბად სადმე ჩვიზოგს და ჩვენი მიძღების წაცვლად ღვიწოს ღებულოგს!

ჩედაძე, სარ. კოლეგია, გაზ. „მუშა“-ს გამომცემი; სტამბა „კოლექტივი“; მთავლ. № 1819.